



იოსებ სიბომვილი

...ესე ნათესავი...

„...ესე ნათესავი ვერ შესაძლებელ არს განსვლად,
გარნა ლომვითა და გარებვითა“ (მტ. 9,29.).

(ცტიუდია)

იოსებ სიბოშვილი

...ესე ნათესავი...

**„...ესე ნათესავი ვერ შესაძლებელი არს განსვლად,
გარნა ღლოცვითა და მარხვითა“ (მკ. 9.29.).**

(ეტიუდები)

**თბილისი
2014**

რედაქტორი: **მანანა გორგიშვილი**
კორექტორი: **თეონა ჯანჯალაშვილი**
დამკაბადონებელი: **თამარ ტყაბლაძე**

„...ესე ნათესავი ვერ შესაძლებელ არს განსვლად,
გარდა ლოცვითა და მარხვითა“ (მპ.9.29).

„ხალხს შეადგენს წმიდანები და არა ბრბო“
წმიდა იოანე ოქროპირი

„მღვდელი, რომელიც არ არის წმიდანი, არ
არის ჭეშმარიტი მღვდელი.“
მამა გიორგი (ბასილაძე)

ორი ათას თორმეტი წლის აგვისტოში სოფ. სართიჭალაში ითხი ადამიანი, გვარად ბარბაქაძე მიაბარეს მიწას, აქედან სამმა თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე. სოფლის მაცხოვრებელნი დღემდეგაკვირვებულნი არიან მომხდარით. მართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის ყოველივე ადვილად ამოსაცნობია — ეშმაკმა თავისუფლება იგრძნო და „გაინავარდა“. ისმება კითხვა: რამ გამოიწვია ბოროტის ასეთი გაძლიერება? სახარება ამის შესახებ, როგორც ყოველთვის, სრულყოფილ პასუხს გვაძლევს, რაც ამ წერილის სათაურშიც იკითხება. ანუ სოფელში მადლი აღარ ტრიალებს? რა უნდა იყოს ამის მიზეზი?...

მროველ-ურბნელი მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი) მოგვითხრობს: „მაშინ ჯერ კიდევ ერისკაცი ვიყავი, ჯარიდან ახალდაბრუნებული, ორთაჭალაში წმ. ნიკოლოზის ტაძარში ვცხოვრობდი და უწმინდესის კურთხევით, ბიბლიოთეკას ვიცავდი, დარაჯად ვმუშაობდი და არქივიც მებარა. ჩემი კანონი მქონდა და ბევრს, ძალიან ბევრს ვლოცულობდი, მთელი ღამეების განმავლობაში, მთლიანად სულიერებაში ვიყავი გადართული. ერთხელაც ძილში ვიგრძენი, რომ რაღაც ძალამ კისერზე ხელები შემომაჭდო და მახრჩობდა, ავიღე ფანარი და მთელი ტაძარი შემოვიარე — არავინ იყო.

ისევ დავწექი — კვლავ განმეორდა; ვიცოდი, ჯვარი უნდა გადამესახა, მაგრამ ხელში ძალა არ მქონდა; მესამედაც რომ დამესხა თავს, უფლის წყალობით ძალა მოვიკრიბე და ჯვარი გადავსახე; თვალი რომ გავახილე, დავინახე ეშმაკი კვამლის სახით (კვეთებულის ლოცვებშიც წერია: „ცეცხლის სახით, კვამლის სახით გამოჩინებული“), თვალები კი როგორც ფოსფორი, ისე უელავდა. ჯვრის გადასახვის შემდეგ კი დაიკლაპნა და ფანჯრიდან გავიდა.

მარტყოფის მონასტრის წინამძღვრად ყოფნისას შუალამიანზე რომ მივდიოდი, ბევრჯერ დაქაჩა ჩემი მანტია და კინალამ წამაქცია. იყო შემთხვევები კარებს მინგრევდა, სახურავში ხმაურობდა, მოკლედ, მოსვენებას არ მაძლევდა. ეშმაკმა წინასწარ იცოდა, რომ ღვთის მსახური უნდა გავმხდარიყავი. ბავშვობაშიც ბევრჯერ შემებრძოლა — ადამიანებს ამხედრებდა ჩემს წინააღმდეგ; ჯარში ყოფნის დროს აზოვის ზღვაში მახრჩობდა და წმიდა ნიკოლოზმა გადამარჩინა... ეშმაკის შემოტევებს თავიდანვე მიჩვეული ვიყავი. ამ ყველაფრის გაანალიზების შემდეგ ადამიანი კიდევ ერთხელ რწმუნდება, თუ რამხელა ბრძოლა მიმდინარეობს თითოეული ადამიანის სულისათვის კეთილ ანგელოზსა და ეშმაკს შორის“.

ასეთი სახით ეშმაკი კომუნისტების დროს მამა ოოსებმა (ერისკაცობაში ვიქტორ კარელიძე) სოფლის ცენტრალურ ქუჩაზე მიმავალი დაინახა, რომელიც კედლის გავლით ერთერთი სახლის სარდაფში შევიდა და იქ, ოთხი ღლის შემდეგ, ახალგაზრდა კაცმა თავი ჩამოიხჩო. მაშინ სართიჭალაში, როგორც სხვა სოფლებში, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ტაძრები ან დაკეტილი იყო ან სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობისთვის გამოიყენებოდა და, რა თქმა უნდა, ღვთისმსახურება არ აღევლინებოდა. დღეს რა ხდება სოფელში? თითქოს ყველა მოქმედ ტაძარში წირვა-ლოცვა ტარდება, მრევლის წევრთა რაოდენობაც გაიზარდა. ასე რომ, მადლი-

სა და სინერგიის დეფიციტი არ უნდა იყოს. თუმცა, ყველაფერი პირიქითაა.

ისტორიაში მრავლადაა ფაქტები იმის შესახებ, როდესაც სუბიექტური მოსაზრებით გაუტანიათ სინმინდეები იმ ადგილებიდან, საიდანაც მისი გადაბრძანება არ შეიძლებოდა. ასეთი განუკითხაობის შედეგად, იმ ადგილებს მოსდებია შავი ჭირი და ათასი უბედურება. ხოლო სინმინდეების მობრუნების და თავის ადგილზე დაბრძანების შემდეგ, ყველაფერი მოწესრიგებულა იქ.

ღმერთმა არ ინებოს, რომ ასეთი რამ გვჭირდეს...

თუმცა, ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ, მაინც აქამდე მივდივართ. სართიჭალის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის კურთხევა გუშინდელი დღესავით მახსოვს. 2005 წლის 16 ნოემბერს ეპისკოპოსებმა (ან უკვე მთავარეპისკოპოსებმა) ლუკამ (ლომიძე) და ექვთიმეთ (ლეუავა), დეკანოზ შალვასთან (შუბითიძე) ერთად აკურთხეს მამა შალვას ინიციატივით აშენებული ეს ტაძარი და წმიდა ტრაპეზის ოთხივე კუთხეში ჩაბრძანეს სინმინდეები. ამ უკანასკნელთა გათანამ ხომ არ გამოიწვია ეს უბედურება.

ღმერთმა ყველას მიუტევოს ცოდვანი, რამეთუ ბიბლია მკაცრად გვაფრთხილებს: „წყეულიმც იყოს, ვინც დაუდევრად აკეთებს უფლის საქმეს!...“ (იერ. 48.10).

მამა გიორგი (ბასილაძე) გვასწავლის: „როდესაც მონაზონი ან მორწმუნე დიაკვნის ხარისხში აჰყავთ, მაშინ მას ღვთიდან ეხსნება გონებრივი და სულიერი შესაძლებლობის 30%. მოკლედ გეტყვით რა შედის ამაში: ნამდვილი დიაკონი — არჩევს სულებს, ხედავს ჰაერში ბოროტ სულებს, კითხულობს ადამიანის აზრებს და ტელეპატიურ დონეზე შეუძლია ისაუბროს მღვდელთან. ღმერთი ისმენს მის ლოცვებს, მაგრამ ნამდვილი მღვდელივით ვერ იხედება ადამიანის შინაგან სამყაროში (გულსა და სულში).

როდესაც დიაკვანი, მასზე დაშვებულ დიდ ძალას შეეგუება, უხეშად რომ ვთქვათ „აითვისებს“ (ეს მდგომარეობა პიროვნულია. ზოგი ამას უფრო ადრე აღწევს, ზოგიც — ცოტა მოგვიანებით), მას აკურთხებენ მღვდლად. ამ დროს მას კიდევ ემატება — 30%.

უკვე ნამდვილი მღვდელი: — ხედავს ადამიანის სულსა და გულს, იცის ადამიანის ცოდვები, წარსული. ნათლობის საიდუმლოს შესრულებისას ხედავს ბოროტს, რომელიც ზის მოსანათლის სხეულში ან სულშიც და განდევნის მას. ფლობს დროს და სივრცეს, შეუძლია სხეულიდან გამოსვლა, შორ მანძილზე ესმის ლაპარაკი, იცის ადამიანთა აზრები და ზრახვებიც, აქვს უწყება მიცვალებულის სულის ადგილ-სამყოფელზე, სულიერ არსებებზეც და ასევე მატერიაზეც ზემოქმედების დიდი ძალა.

ნამდვილ მღვდელს შეუძლია უსიტყვოდ აღძრას ადამიანში სინანული, გაახსენოს ცოდვები და ძალიან მოკლე დროში თვითონ გამოიტიროს ისინი, ნამდვილმა მღვდელმა იცის, გვპატიობს თუ არა ღმერთი ცოდვებს, თუ რამე სასჯელს (ეპიტემია) ითხოვს, იცის ადამიანის ესა თუ ის განსაცდელი ან სატანჯველი რომელი კონკრეტული ცოდვების გამო მიეცა ღვთისგან, შეუძლია მოუხსნას ჯადო, წყევლა.

ნამდვილი მღვდელი ნამყოფია სასუფეველში და ზუსტად იცის, როგორ მიიყვანოს იქ მისი მრევლი.

ეს არის მოკლედ ნამდვილი მღვდლის შესაძლებლობები“.

დღეს ეკლესიებში მოღვაწე მღვდლების განათლება, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ტიპიკონის ცოდნითა და მშრალი ღვთისმეტყველებით არის განსაზღვრული. თითქოს ამის იქით წასვლა არ შეიძლება და ეკლესიაში სულის გადასარჩენად მისულ ადამიანებს მხოლოდ მშრალი დოგმატიკის მოსმენა მისცემს იმ ღონეს და საგზალს, რომლითაც უნდა მივიღნენ სასუფევლის კარამდე.

აი, ასეთი შედეგი მოგვცა რუსეთის იმპერიული ღვთის მსახურების გზიდან არგადახვევამ. გარდა იმისა, რომ დასახვენია სასულიერო სემინარიისა და აკადემიის სისტემა, აუცილებელია ყველა მომავალმა სასულიერო პირმა გაიაროს მონასტრული ცხოვრების რთული გზა, რათა მრევლთან შეძლოს, არა საცეცხლურის ლამაზად ქნევით და ტიპიკონის დაძაბული კითხვით, არამედ ლოცვით მიღებული მადლით ქრისტიანული ურთიერთობა.

მოძღვართა მრევლისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ, მორწმუნენი ერთ ადგილას გაყინა და შებოჭა. წირვა-ლოცვიდან გამოსული ადამიანი კვლავ ადვილად ებმება მიწიერ ვნებებში, რადგან მას მადლი ვერ მოაქვს ეკლესიდან. მბრძანებლური ტონით წირვა-ლოცვის ჩატარება, რომელიც თეოლოგიის გაკვეთილს უფრო ჰგავს, ვიდრე საღვთო ლიტურგიას, რა თქმა უნდა, არ არის შედეგის მომტანი. ასეთი დამოკიდებულება მრევლისადმი, მათ უბიძებს წუთისოფლის მორევისაკენ. მახსენდება ნეტარი ავგუსტინეს სიტყვები: „ვინც შებოჭილია მიწიერი სიკეთებისადმი ვნებით, ისინი მფლობელი კი არა — ფლობილია“. ესე იგი მრევლის უმრავლესობა, ზოგიერთი მოძღვრის ხელში, უკვე ფლობილია. ამიტომაც აფრთხილებს მიტროპოლიტი იობი (აქიაშილი) სასულიერო პირებს: „ფრთხილად იყავით, თქვენამდე არ მოიყვანოთ ადამიანები, მიიყვანეთ უფლამდე“.

მახსენდება ერთი ეპიზოდი, რომელიც შემემთხვა დოდორქის მონასტერში. ჩემი მომავალი წიგნისთვის სურათებს ვიღებდი. საერთო ხედის გადასაღებად მომიწია მოპირდაპირე მთაზე ასვლა, სადაც ძალიან ლამაზი ჯვარია აღმართული. დავიწყე ადგილის შერჩევა. ამ დროს მონასტრის მთიდან ამოფრინდა ველის არწივი და ჯვრის მიმართულებით გამოემართა. იმდენად ლამაზი იყო ეს მოვლენა, რომ გადავწყვიტე მისი ფირზე აღბეჭდა. არწივს არ გამორჩა ფოტოაპარატის ნათება, სწრაფად გააკეთა ირაო და წამებში გაუჩინარდა ცის სილრმეში. მხედველობა დავძაბე, იქნებ როგორმე მომექძებნა არწივი, მაგრამ უშედეგოდ. ამ დროს, როდესაც მთელი ყურადღება ცისკენ მქონდა გადატანილი, ჩემს ფეხებთან რაღაც აშრიალდა. სამუალო სიგრძის გიურზა შესრიალდა ბუჩქებგადაფარებულ კლდის ნაპრალში. გავშეძილ და გავცივდი, მიუხედავად იმისა, რომ მონასტრის წინამძღვარმა გაგვაფრთხილა: „ქვენარმავლების მიმართ აგრესია არ გამოიჩინოთ და ისინიც არ მოგეკარებიან“. მართალი თქვა მამაომ. არ გამკარებია, თუმცა საფიქრალი ბევრი გამიჩინა. არწივის შემშურდა. ის ცაში აიჭრა, მე და გველი მიწაზე დავრჩით. იმდენად გველის აღარ მეშინოდა, როგორც მიწაზე დარჩენის. მაშინვე ჩემს გონებაში აღდგა ყველა ის წერილი, რომელიც უფლის სამსჯავროს შესახებ მქონდა წაკითხული. არ მინდა მოვხვდე ჯოჯოხეთში. სასუფევლის კარამდე კი მოძღვარმა უნდა მიგიყვანოს. ამიტომ თვითონ მოძღვარი უნდა იყოს, როგორც მამა გიორგი (ბასილაძე) ამბობს — ნამდვილი.

მახსენდება ერთი დეკანოზის სიტყვები: „ქრისტიანობა მოქმედებას გვავალებს და არა ოცნებასო“. ჩვენ კი ვმოქმედებთ? რამდენი პოლიტიკოსი და სასულიერო პირი მობრძანებულა გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტრებში.

დათვალიერებისას, როდესაც შეხედავდნენ საქართველოს ხელისუფლების წაყრუებით თუ მიზანმიმართულად დაკარგულ ჩვენს მამულს, ყველაზე განსაკუთრებულს რასაც მოიმოქმედებდნენ, თავს გადააქნევდნენ აქტ-იქით და ამით, ალბათ, ღრმა მნუხარებას გამოთქვამდნენ უცხო ტომელების მიერ ჩვენი ტერიტორიების მითვისების გამო. მერე კი შეტრიალდებოდნენ და წავიდოდნენ გულარხეინად შინ. გული გაგისკდება კაცს! როდესაც უყურებ თუ როგორ გეცლება ხელიდან წინაპრების სისხლით მორწყული წმიდა მიწა. არ მინდა ისე მოვკვდე, რომ ვერ მოვესწრო ჩემი სამშობლოს დამოუკიდებლობას და გაბრწყინებას. მავანი მეტყვის: „ხომ დამოუკიდებელია საქართველო და აღმავლობის გზაზეა.“ სამწუხაროდ, ასე არ არის. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც საქართველო რუსეთის ხელში ფაქტობრივად აღარ არსებობდა, ილია ჭავჭავაძემ, ასე ვთქვათ, „მოიგონა“ საქართველო, ერის გამოფხიზლებას შეეცადა და ქართველებს იმ სამი სათონების (მამული, ენა, სარწმუნოება) გაფრთხილებისა და გადარჩნისაკენ მოუწოდა, რომელსაც დღეს მტერიც და მოყვარეც იმეორებს. მაგრამ ჩვენი საერო და სასულიერო მამების „მოღვაწეობის“ შედეგად მივიღეთ დაჩეხილი და გაყიდული მამული. ქართულ ენასა და დამწერლობას, რომელსაც საქართველოს პატრიარქი უწოდებს ხიდს, გადებულს სახელოვან წარსულსა და ბედნიერ მომავალს მორის, ხელისუფლებამ რობინ ჰუდის ისარი ესროლა და გვაიძულებს ჩვენც იგივე გავაკეთოთ. რაც შეეხება სარწმუნოებას, როგორც მამა გიორგი (ბასილაძე) ამბობს: „საქართველოს აღმავლობის გასაღები ეკლესიის განწმენდაშია“. სანამ ჩვენი ეკლესია არ განიწმიდება უღირსთაგან, მანამ ჩვენი საშველი არ იქნება. სიწმიდისათვის ბრძოლას კი სათავეში წმიდანი უნდა ედგას. მაგალითისათვის ხანმოკლე დროით წარსულში გადავინაცვლოთ:

შაჰ-აბასმა გარე კახეთის აოხრების შემდეგ, ივრის მარცხენა სანაპიროზე თურქმანთა მოდგმა — ელთა ტომი დაასახლა. რამდენიმე წლის შემდეგ იქ ჩოლოყაშვილების საგვარეულო დაფუძნდა (ახლა იმ ადგილას საპატრიარქოს მარანია). თავადებმა ააშენეს კარის ეკლესია და წმიდა ნიკოლოზის სახელზე აკურთხეს. გავიდა ხანი და იქ თათრის ჭაჭანება აღარ იყო. იმიტომ, რომ წმიდა ნიკოლოზი მებრძოლი და უდიდესი წმიდანია. ყველამ კარგად ვიცით, რა დღე ანია წმიდა ნიკოლოზმა ერეტიკოს არიოზს 325 წელს, პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. სატანისგან დაბრმავებულმა არიოზმა არ შეისმინა ჭეშმარიტება. წმიდანს ერეტიკოსის მხრიდან ღვთისმგმობელი სიტყვების მოსმენის გამო აევსო მოთმინების ფიალა და მთელი თავყრილობის თვალწინ კვერთხი ჩაარტყა ბილჩ არიოზს. ამისთვის წმიდანს ხარისხი აჰყარეს და დააკავეს კიდეც, მაგრამ კრების რამდენიმე მამამ საღვთო ჩვენებით იხილა, რომ ნეტარს ერთ მხარეს მაცხოვარი ედგა სახარებით ხელში, მეორე მხარეს კი — ღვთისმშობელი ომოფორით და საღმრთო ჩვენებით. შეძრწუნებულებმა კვლავ მღვდელმთავრის პატივში აღადგინეს უფლის რჩეული. თუმცა კრებას 318 მამა ესწრებოდა და ვერავინ გაბედა, წმიდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის გარდა, ერეტიკოსის წინააღმდეგ აქტიურ ქმედებაზე გადასულიყო. მამათა ასეთმა პასიურობამ განაპირობა არიოზის გათავხედება. მათ ქრისტეს მხედრებად ვერ ივარგეს.

ხოლო წმიდა ნიკოლოზი თავისი ქრისტესმიერი სიყვარულით და შეუპოვრობით მუდამ ამარცხებდა და ამარცხებს ბოროტს. როგორც ზევით ვთქვი, ჩოლოყაშვილთა რეზიდენციაში წმიდა ნიკოლოზის ტაძრის დაარსების შემდეგ, წმიდანმა ელები გააძევა ივრის ჭალიდან ანუ მან კვერთხი ჩაარტყა თითქმის არიოზის მიმდევარ თათრებს.

საუკუნეების შემდეგ იგივე პროცესი დაიწყო ივრის მარჯვენა სანაპიროზე, ტაძრის მოპირდაპირე სოფელ

სართიფალის ჩრდილოეთით. ჩვენი სასიქადულო პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ჩამოსახლებულმა მუღანელებმა ქართველთა მიწების ყიდვა დაიწყეს და იმდენად გათავსედდნენ, რომ ქართული სკოლის გაუქმება და იმ ტერიტორიის შესყიდვა განიზრახეს. ეს კი გამოიწვევდა ქართველთა მიმდებარე დასახლების მთლიანად აყრას. საპატრიარქოს ნებართვით, სოფლის მაშინდელმა წინამძღვარმა, ან განსვენებულმა დეკანოზმა შალვამ (შუბითიძე), სკოლის ტერიტორიაზე აკურთხა ეკლესის ასაშენებელი ტერიტორია, ხოლო ასაშენებელ ტაძარს ჩემი ინიციატივით და მამა შალვას კურთხევით ენოდა წმიდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედის სახელი. რა თქმა უნდა, შესაბამისი პროექტიც წარვუდგინეთ საპატრიარქოს, რომელიც სასწრაფო წესით იქნა დამტკიცებული. ყოველივე ამას მაშინდელი ხელისუფლება არ შეხვდა აღტაცებით, რადგან ისინი, კონფიდენციალური წყაროს ცნობით, ამ ადგილს გასაყიდად ამზადებდნენ და გასაგები მიზეზების გამო არ დაგვიდგნენ მხარში. ხოლო მათთან დაახლოებულმა რამდენიმე მედროვემ ერთი ამბავი ამიტებეს — „ვინმოგცაუფლება შენ, რომ წმიდა ნიკოლოზის სახელი დაარქვი ტაძარსო“. ასე რომ, ღვთისმგმობელების წინააღმდეგ კი არ იშვერდნენ ხელს, არამედ ჩემსკენ. მე კი დარწმუნებული ვარ წმიდა ნიკოლოზი სასწაულს მოახდენს, თუ ჩვენ ამის ღირსნი ვიქნებით.

ჩვენი წარსულის, ანდების, მომავლის გათვალისწინებით და, რაც მთავარია, ღმერთის იმედით დავარქვი ტაძარს წმიდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედის სახელი.

„რომელსა პქონან ყურნი ისმინენ...“
(გამოცხ.13.9)
„ხოლო უკეთუ ვინმე უმეცარ არს,
უმეცარ იყავნ.“
(1 კორ. 14.38.)

ყველა ნამდვილი წინა ხაზზეა. თუ რაიმეს გაკეთება ან შენარჩუნება გვინდა, მხოლოდ მათი ლოცვა-კურთხევით თუ არის შესაძლებელი. მამა გიორგი (ბასილაძე) ქრისტეს ძლევამოსილი მხედარია და მისი მიზანი სიმართლის დამკვიდრებაა ადამიანებში. ამიტომ არ უყვართ იგი იერარქებს, რადგან აკეთებს იმას, რისი გაკეთებაც მათ, ურწმუნოების გამო, არ ძალუბთ. ისინი იერარქიას მხოლოდ ამქვეყნიური საქმიანობისათვის იყენებენ. „არის ხილული იერარქია და არის უხილავი იერარქია, — ამბობს მამა გიორგი, — ...გაბრიელი ძალაში იერარქით არ იყო, ის პირდაპირ ღმერთით იყო ძალაში.“ ამიტომ არც მამა გაბრიელს (ურგებაძე), არც მამა გიორგის (ბასილაძე), არც მამა ნიკოლოზს (მაქარაშვილი) არც მამა ოთანეს (ოლარი), არც მამა გიორგის (პავლოვი), დროსა და სივრცეში გადაადგილება არ უჭირთ. ამისთვის არც ჯიბები სჭირდებათ და არც თვითმფრინავები, რადგან ისინი ძალაში ღმერთით არიან. ღმერთს კი წინ ვერავინ დაუდგება. ვუსმინოთ იმ ადამიანებს, რომლებიც უფალმა გამოგვიგზავნა. თუმცა, ჩვენივე ურწმუნოების გამო უფალი გვამხელს: „რადგან ხედვით ხედავენ და ვერ შეიცნობენ, სმენით ისმენენ და ვერ იგებენ...“ (მარკ.4.12.). „გაიხსენონ იერარქებმა, — ამბობს მამა გიორგი, — რა მოსდიოდათ სულში გაბრიელთან შეხვედრისას! თუ გრძნობდნენ იმას, რომ ხარისხის გამო უპირატესობას ინარჩუნებდნენ?! ვერა, ბიძია!.. გეტყვი აგერ, დაიმახსოვრე თუ გინდა: საქართველოს ბოლო ჟამს დიდი სალოსი ეყოლება, რომელსაც თვით მეფის „შეცუცხუნების უფლებაც ექნება“.

სამწუხაროდ, ხშირად ჩვენი სამღვდელოება ამქვეყნიური საზრუნავებით უფრო იყო დაკავებული, ვიდრე იმ სიწმინდეებისაკენ სწრაფვით, რომელთა მეოხებითაც უნდა გადაერჩინა ადამიანის სულები და მიეყვანა ისინი სასუფევლის კარამდე. აი, რას წერს 1906 წელს ზაქარია ჭიჭინაძე თავის წიგნში „ქართველი გრიგორიანები“: „... ხომ ვიცით ისიც, რომ ჩვენი სამღვდელოება, საუბედუროდ, უკანასკნელ დროს ისე დაკნინდა და დაეცა, რომ სომხის მხნე სამღვდელოება, არამც თუ მარტოდ ქართველთ მდაბიოთა სიცოცხლეს შეისყიდდა, რომელთაც ცხოვრება ჰქონდათ გამწარებული, არამედ იგინი შეისყიდდნენ თვით ქართველ მღვდლებს და მღვდელმთავრებსაც და, თუ საქმე გაჭირდებოდა, მაშინ თვით კათალიკოსსაც. (ნაცნობი სიტუაციაა ასი წლის შემდეგ ი.ს.). ეს ნურავის ენციკლება. ჩვენში ყველამ კარგად ვიცით ქართველი სამღვდელოების უძლურება და უმამისშვილობა. ქართველი სამღვდელოება ოღონდ გააძლე, აჭამე, ასვი, ფული მიეცი და იგი არამც თუ თავის მრევლს დაგითმობს გადასარჯულებლად, არამედ თვითონაც გამოგყვება უკან.

დღესაც ქართველი თავის უხეშობით და ბედოვლათობით მარტოდ კუჭის გზას ადგას და, როგორც უძლებს, ერთი ლუკმა პურისათვის დავიწყებული აქვს გვარიც, ენაც, ტომიცა და ქვეყანაც. ქართველი ისეა გაფუჭებული და გაწუწებული, რომ იგი ფულზედ გაპყიდის თვით თავის პირვნებასაც, ცოლს, შვილებს, დედას და მამასაც. ასე ვიყავით ძველთა-განვე და, აბა, რაღა ფიქრი უნდა მას, რომ სომხებს ჩვენი შესყიდვა და გასომხებაც, ვგონებ, არ გაუჭირდებოდათ, ამას იგინი ყოველთვის ადვილად მოახერხებდნენ“.

სარწმუნოებასთან ერთად განსაკუთრებული განადგურების ობიექტი ქართული ენა გახდა. „და სახარებასა შინა, ამას ენასა ლაზარე ჰქვიან.“ (იოანე-ზოსიმე). ამას ვერ ეგუებიან მასონები, ურია-ბოლშევიკების შთამომავლები, „გუგულის ბარტყები“ და სხვანი. როგორც მამა გიორგი (ბასილაძე) ამბობს: „დედის მუცელში ადამიანი ოთხთვენახევარი თიხაა, ხოლო შემდეგ ეძლევა სული“. ბავშვს მუცლადყოფნიდანვე

დედის და მამის ხმა ესმის, ქვეცნობიერად ეს ენა მისი მშობლიური ენა ხდება. აუცილებელია სწორედ მშობლიურ ენაზე ბავშვის განვითარება, მისი ეროვნული სულისკვეთების, მენტალიტეტის, მსოფლმხედველობის და შემოქმედებითი უნარის ჩამოყალიბება. ცნობილი მეცნიერი, ექიმი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლაი პიროვოვი წერდა: „როდესაც ბავშვს მშობლიური ენის საფუძვლიანად შესწავლამდე უცხო ენას სჩრიან, იგი ვერ ყალიბდება მოაზროვნე, შემოქმედ, პატრიოტ პიროვნებად. მას ეკარგება პოეზიის აღქმის უნარი და სულიერება. ამას გარდა მას ექმნება აზროვნების და ფსიქოლოგიური პრობლემები. უცხო ენის შესწავლა ბავშვს შეიძლება დავაწყებინოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მას უკვე კარგად ეცოდინება დედა-ენა და შეეძლება მშობლიურ ენაზე აზროვნება, კითხვა და თვლა-ანგარიში. რამდენიმე ენის შესწავლა ტვინის აღრევას იწვევს. დიდებულთა შვილები იყვნენ ფრანგულ ენაზე მოტიკტიკე (მე-19 საუკუნეში რუსეთში გაბატონებული იყო ფრანგული ენა. ი.ს.), ჩამორჩენილი აზროვნების და ყაზანელი თათრის გონებრივი განვითარების არსებები. მშობლიურ ენაში ერის გენეტიკური კოდია ჩადებული და დაუშვებელია ბავშვის სხვა ენაზე აღზრდა, თუ არ გვინდა, რომ უეროვნებო, არეული ფსიქოლოგიის ინდივიდი მივიღოთ... ენების ცოდნა მხოლოდ იარაღია იმისათვის, რომ უცხო ენაზე ღირებული წიგნები წაიკითხო და ცოდნა გაიღრმავო“.

არც თუ შორეულ წარსულში, პირადად განვიცადე თუ რა ძნელია ადამიანი მოწყდეს მშობლიურ ენასა და აზროვნებას. საბჭოთა პერიოდში ხშირად გახლდით მივლინებით რუსეთში, განსაკუთრებით მოსკოვსა და პეტერბურგში (მაშინდელი ლენინგრადი). საქმიანობა მიწევდა სამინისტროების ბიუროკრატიულ აპარატთან და, შესაბამისად, ვსაუბრობდი და ვწერდი რუსულად. ერთხელ, მოსკოვში მივლინების ერთი კვირის თავზე, სასტუმროში გახლდით მარტო და ვმუშაობდი ერთ-ერთ რთულ პროექტზე. მეორე დღეს შეხვედრები იყო დაგეგმილი ქალაქის ცენტრალურ კომიტეტსა და ალ-

მასკომში. წინასწარ ვფიქრობდი გასაუბრების დროს წამოჭრილ საკითხებზე და სავარაუდო კითხვებს და პასუხებს ვამზადებდი. ამ დროს, ჩემდა უნებურად, დავიწყე რუსულად საუბარი, თან ოთახში ბოლთას ვცემდი. ეს პროცესი, ალბათ, ხუთი-ათი წუთი გრძელდებოდა. შემდეგ, თითქოს გამოვერკვიე და ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ ვლაპარაკობდი და ვაზროვნებდი რუსულად. ძალიან შევმტოთდი. ამის შემდეგ ხშირად ვფიქრობდი მომხდარზე და მივედი იმ დასკვნამდე, რომ უცხო ენაზე სისტემატური საუბარი და შესაბამისად აზროვნება, ადამიანში ანგრევს ეროვნულ სულს. თითქოს ის მინა გეცლება ფეხთაგან, რომელზედაც აქამდე მყარად იდექი. შენთვის აღარც წარსულია და აღარც მომავალი და ემსგავსები საძოვარზე გადენილ პირუტყვის. ამით მე შეურაცხყოფას არ ვაყენებ არც ერთ ენას, ყველას თავისი პატრონი და გულშემატკივარი ჰყავს. პიროგოვმა ხომ გადარჩინა რუსული ენა გადაგვარებას.

იმ პერიოდში, როდესაც რუსეთში პიროგოვის სახელი ქუხდა, ილია ჭავჭავაძე სტუდენტი გახლდათ. მან განაცხადა, რომ თუ კი რუსებმა დაწყებით კლასებში მხოლოდ რუსული ენა უნდა ისწავლონ, მაშინ ქართველებსაც მოგვცენ უფლება, ჩვენს ბავშვებს დაწყებითი განათლება დედაენაზე მივაღებინოთ. რომ არა პიროგოვი, მეფის რუსეთი ილიას საქართველოს სკოლებში მშობლიური ენის სწავლების უფლებას არ მისცემდა, რადგან ისინი ქართულს ძალლების ენად თვლიდნენ. იმდროინდელ საქართველოში ქართული ენის მიმართ თითქმის ისეთივე დამოკიდებულება იყო, როგორც დღეს, თუმცა მაშინ მეფის რუსეთი ამას ღიად აფიქსირებდა, ხოლო დღეს ჩვენი ხელისუფლება შენიღბულად ახორციელებს. ილიას ეს სიტყვები ყოველივე ზემოთ თქმულის ნათელი და-დასტურებაა: „საკუთარ პატარ-პატარა ხუსულებში შეკეტვამ, რასაკვირველია, ენაც დაგვიმუნჯა და დაგვიკოჭლა. მეტყველების წყარო აზრია, აზრის წყარო — გონებითი ცხოვრება. რადგანაც განკერძოების შემდეგ გონებითად აღარ გვიცხოვრია, ხოლო ენას ჩვეულებისამებრ პირში ტოკვა

უნდა, ავიღეთ და უაზრო ხმები, რომელიც ხუხულების გარშემო პირუტყვის ბუნებაში ისმოდა, ენის სალაქლაქო ქართულ სიტყვებად ვაქციეთ და დღევანდლამდე ამგვარი სიტყვებით იოლად გავდივართ. ამიტომაც პირუტყვის ბუნების ხმის მსგავსი სიტყვებით აივსო ჩვენი ენა, რომლისთვის ერთი გონებითი აზრის შემცველი სიტყვა არ შეგვიმატია... სადღა არის ახლა ქართული ენა? ანდა საჭიროა კი იგი, როცა ჩვენდა დასაღუპავად ქართველობაზე ხელი ავიღეთ? გონებით რომ აღარ ვცხოვრობთ, ქართულ ენას აზრს როგორ გამოვათქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარ ვართ, სიტყვის ერთნაირ მნიშვნელობას როგორდა მოვთხოვთ ჩვენს ენას? თუნდაც რომ ჩვენს ენას და სიტყვას აზრი გამოვათქმევინოთ, ვის რად უნდა? გუდაფშუტასავით დაცარიელებულებს ცარიელი სიტყვები და ხმები გვინდა, რათა ენამ პირში იმოძრაოს და ყურმა ძარღვი იფხანოს. ენა სხვა რისთვისლა გვინდა? საერთო სახელი ქართველი კერძობითად გავხადეთ, მამული დანეხვილ ნაფუძრად გადავაქციეთ, პატივი — ნეხვად, თავი — გოგრად და ჩვენი უადამიანობა იქამდე მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დაუუმატეთ და ამის შემდეგ, კიდევ გინდათ, რომ ენა გვქონდეს?”

„მამული დანეხვილ ნაფუძრად გადავაქციეთ“-ო, იწინას-ნარმეტყველა წმიდა ილია მართალმა. მაგრამ ასეთ საქართველოს ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა ჩვენი გულმხურვალე მამულიშვილი.

მამულის გაყიდვა დღეს არ დაწყებულა. ჩვენი თავადაზნაურების შთამომავლები, რომელნიც თავიანთი წინაპრების რეგალიებით, განსაკუთრებით მეფის რუსეთის ხელისუფლებიდან მიღებული ჩინ-მედლებით რომ იწონებდნენ თავს, საკითხავია, მათ რა დამსახურებისათვის მიიღეს ეს ჯილდოები. როგორც ვიცით მე-19 საუკუნეში ჩვენს თავადებს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში არ დაულენიათ ხმლები. ისინი

ძირითადად თავისი მამულების გაყიდვით იყვნენ დაკავებულნი, იმ მამულების, რომლის დაცვასაც საუკუნეების განმავლობაში უამრავი ქართველის სიცოცხლე შეეწირა. ეს სისხლით მორწყული მიწები, რუსეთის ხელისუფლების დავალებით, ჩვენმა „მამულიშვილებმა“ სომხებს და თათრებს მოჰყიდეს, რადგან ამ უკანასკნელებმა პირნათლად შეასრულეს, როგორც ყოველთვის საქართველოს ისტორიაში, აგენტურის როლი. რუსთა დავალების ბრწყინვალედ შესრულებისათვის ქართველი თავადები ჩინ-მედლებს და სამადლოდ გადაგდებულ ლუქმას იღებდნენ, ხოლო სომხები და თათრები ქართულ მიწებს და ქონებას. საყოველთაოდ ცნობილია, ბატონიშვილის გაუქმების (1964წ) საკითხებთან დაკავშირებულ კრებაზე, როდესაც ილია ჭავჭავაძემ გლეხების გათავისუფლება მიწიანად მოითხოვა, თავადებმა კინალამ ხანჯლით აკუნეს. ფაქტები უამრავია, რომლებიც ჩვენი ხათრიანობის გამო სააშკარაოზე არ გამოგვაქვს (მამა იოანე (ოლარი) გვასწავლის: „ხათრი ჯოჯოხეთის პილეთიაო“). მე გარეკახელი კაცი ვარ და მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვან ჩემი კუთხის ისტორიიდან. ჩვენმა სასიქადულო პოეტმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ, რომელიც რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის ნათლული გახლდათ, სოფელ სართიჭალას ჩრდილოეთით მდებარე მინდვრები მუდანელებს მიჰყიდა, ხოლო ივრის ჭალის ნაყოფიერი ადგილები, ჭავჭავაძეთა დაუდევრობით, ხელში ჩაუვარდა თბილისელ ვაჭარს — თამამშევს. ამჟამად ამ ადგილს „თამაშოვკა“ ჰქვია. ჩერქეზიშვილების მამულებს მანავსა და თოხლიაურში ძირითადად ყიდულობდნენ თბილისელი ვაჭრები და სირაჯები: ვასილ თამამშევი, სიმონ რამიშვილი (რამანვი), ვართანოვი, მაკარიონი, დარჩო ბახუტოვი, იაგორ და მნაცაკან ფრიდონოვები. რუსებმა ქართველებს როდესაც აუკრძალეს მართლმადიდებლური წირვა-ლოცვა, საეკლესიო მიწები და ზვრები ასევე სომხების ხელში გადავიდა. მაგალითად: პატარძეულის და წყაროსთავის სამხრეთით

მდებარე ეკლესია სვეტიცხოვლის კუთვნილი მიწა — აგარაკი „ნაზვრევი“ იყიდა სომებმა ვაჭარმა თუმანოვმა (აღაპაპაშვილი), სადაც ქართველებს ამუშავებდა (გადმოცემით ცნობილია, რომ ეს „გუგულის ბარტყი“ ძალიან ძუნწი ყოფილა. თურმე რთველში მკრეფავებად მხოლოდ ახალგაზრდები მიჰყავდა და იმ დროისთვის დეფიციტურ პროდუქტს ე.წ. „კევებს“ ურიგებდა, რომ ნაკლები ყურძენი ეჭამათ). საეკლესიო მიწების შესყიდვასთან ერთად, თვით ტაძრებმაც განიცადეს სახეცვლილება და დღესაც ატყვია მათ სომხური არქიტექტურის კვალი. სომხებმა ნაყიდი ტყეები გაუაფეს და გაყიდეს, რამაც გამოიწვია მეწყერები და წყალდიდობები (როგორც ჩანს დღეს ისტორია მეორდება). ივრისპირეთში ჩოლოყაშვილებისა და მაყაშვილების მიწები გაიყიდა ჯავის რაიონიდან ჩამოსახლებულ ოსებზე. ხოლო რაც ანდრონიკაშვილებმა გაუკეთეს საქართველოს, ამის დაწერა მართლა არ შეიძლება. სკანდალური ფაქტის შემდეგ მათი მიწები დაიკავეს ბორჩალოელმა თათრებმა (თურქული მოდგმა). შეიქმნა სოფლები: იორმულანლო, ლამბალო, თულარი, მუღანლო, დუზაგმა, კაზლარი. ხოლო რაც დარჩა, იქ დონის კაზაკები დაასახლეს (სოფ. ბოგდანოვკა).

დღეს უარესი ხდება, თითქოს ვეჯიბრებით მე-19 საუკუნის ქართველებს. თუმცა, ამის შესახებ ყველამ იცის და მისი გამეორებით აღარ შეგაწყენთ თავს. მხოლოდ ერთ საკითხზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას. ბოლოდროინდელი ხელისუფალნი იმდენად გათავსედდნენ, რომ მიწიერი სიამოვნების მოყირჭების შემდეგ, წმიდანობაც მოინდომეს. ამის დასტური იყო რამდენიმე წლის წინ მამა გიორგის (ბასილაძე) სენაკის დარბევა. რას ეძებდნენ? „წიგნს! — ამბობს მამა გიორგი, — ეს წიგნი ძველი ქართველი წმიდანების წინასწარმეტყველებაა ბოლო უაშზე... ამ ხელნაწერებს ჩემი გვარი, საუკუნეებია ინახავს... ჩემი ერთ-ერთი წინაპარი იმერეთის მეფის კარზე მსახურობდა და ამ ხელნაწერებს მეფეც კითხულობდა. ჩვენს სოფელში ნამყოფია სტალინი ახალგაზრდობაში და ბაბუაჩემიც გაუცვნია. ეტყობა ბაბუაჩემს ამ

წიგნიდან რაღაცები ჰქონდა მოყოლილი მისთვის, რადგან, მოგვიანებით სტალინს თხოვნით მოუმართავს ბაბუასთვის ამ წიგნის თაობაზე, მაგრამ წიგნი ბაბუას არავისთვის მიუცია... ისე მწერალი ვერ შეადგენს თავის დღიურს განვლილ დღეზე, როგორც ამ ნაწერებში ჩვენს წინაპრებს ჩვენი დღევანდელი დღე აქვთ ნაწინასწარმეტყველები და აღწერილი... „ელიაობა“ მოსდომებია, მაგრამ რომ არ არის „ელია?!“.

როგორც ჩვენმა, ისე უცხოელმა მეცნიერებმა დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ კაცობრიობამ ცხოვრება ისწავლა შუმერებისგან (ანუნაკისგან). ისიც დამტკიცებულია, რომ შუმერები ძველი ქართველები არიან. წარლევნისწინადროინდელი ისტორია აქვთ და ეს ცივილიზაცია დღესაც დაფარულია მოკვდავთათვის. პროფესორი კლიმენტი შელია ამტკიცებს, რომ „მეგრელებს უწინ ჰქონიათ სიბრძნის წიგნი „ანუნაკის ეფუთი“, მისივე თქმით „ეს ეფუთი დაკარგულად ითვლება“. ამ წიგნში ყოფილა ყველა წინასწარმეტყველება ქვეყნის დასაბამიდან ბოლო ჟამის ჩათვლით.

ყოველივე თქმულიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ ჩვენს სამშობლოში ბოლო ოცნლეულში ხელისუფლების ასპარეზზე გამოსული „...მხეცი და მასთან ერთად ცრუნინასწარმეტყველი...“ (გამოცხ. 19.20). გაათორებით იბრძვიან ქართველი ერის სულიერი ენერგიის წინააღმდეგ, რომელიც ღმერთან კავშირშია და ერთობლიობაში სინერგიას წარმოადგენს. ამ ბრძოლაში (რომელიც ნათლად იკითხება ერთდოლარიან კუპიურაზე გამოსახული პირამიდის თვალზე — „ჩვენი ბრძოლა“ და „ახალი მსოფლიო წესრიგი“), ჩვენდა სამწუხაროდ, მათ გვერდს უმშვენებს ბევრი, სხვადასხვა იერარქიის სასულიერო პირი. ეს ყოველივე კი მიმართულია მამულის, ენის, სარწმუნოების დასაქცევად და აქედან გამომდინარე ტრადიციების, კულტურის, ზნეობის და სხვა საუკუნეების განმავლობაში აშენებული ღირებულებების მოსპობისაკენ. ჩვენი გულარხეინობის გამო, წარსულში ბერძნებმა ვერაგული გზით მოგვპარეს ოქროს საწმისი. სააკაშვილის („ცრუნინასწარმეტყველის“) ხელისუფლებამ ამ

საქმის შემოქმედს ძეგლი დაუდგა, რითაც მთელ მსოფლიოს აცნობა: „მოდით! ახლა წასაღებია ქართველთა სულიერი ბარძიმი, მათი ღვთიური ენერგია!“ ამისთვის გეოგრაფიული სიმაღლეებიც კი დაუთმო ჩვენი სამშობლოს დაუძინებელ მტრებს. ეს კარგად მოჩანს გარეჯის მრავალმთის უდაბნოში (ვგულისხმობ ჩიჩინტურის კოშკს და უდაბნოს მონასტერს), რომ ალარაფერი ვთქვათ კავკასიის სიმაღლეებზე, რომლის შესახებაც საყოველთაოდ არის ცნობილი.

მნარედ გამახსენდება ხოლმე აკაკი წერეთლის სიტყვები: „იყავი მამულიშვილი! თუმცა, სადაა მამული, რომ მამულიშვილი იყო!“

ასე რომ, ჩემო მკითხველო, რუსეთს აგრესით უნდა საქართველოს დაპყრობა, ამერიკელებს — ფულით და მართლმადიდებლობის განადგურებით, თათრებს — მშვიდობიანი გზით, რომელიც ქვეყნის დაპყრობის ყველაზე ვერაგული გეგმაა. ისინი მშვიდად არიან და გეომეტრიული პროგრესით მრავლდებიან, მაშინ, როდესაც ქართველები არითმეტიკული პროგრესით ვმცირდებით. ხოლო რაც შეეხება სომხებს, ისინი ყველა ამ სუბიექტებთან გარიგებით, ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ლირებულებების მფლობელნი ხდებიან...

...და კვლავ 325 წელია. პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება. მღვდელმთავართა პასიურობა არიოზის წინააღმდეგ რა შედეგითაც დამთავრდა, ზემოთ უკვე ვთქვით. რანაირი ქრისტეს მხედარი ხარ, თუ არ შეგიძლია ეპრძოლო ბოროტებას. ჩვიდმეტი საუკუნის შემდეგ იგივე მეორდება საქართველოში. ხალხო! არიოზების შემოსევაა ჩვენს სამშობლოში. სამღვდელოება კი დუმს და გულგრილად ადევნებს თვალს, თუ როგორ გვენგრევა თავზე ქვეყანა. 1907 წლის 12 სექტემბერს ია ეკალაძე (იაკობ ცინცაძე) ილიას მკვლელობის შესახებ წერდა: „დედავ ქართვლისა! ზიზღით დაჰგმე შენ შენი შვილი, ჩოხის მაგიერ დიაცურებ კაბა ჩააცვი, თუკი იმდენად დაძაბუნდა და დავაგლახდა, რომ კუჭის გარდა ალარაფერს ალარ დაეძებს!“

2010 წლის 23 ოქტომბერს კიდევ ერთხელ მოვილოცე მოწამეთას მონასტერი. შემდეგ მამა გიორგის სენაკისკენ გავეშურე და მის მოსანახულებლად მომლოცველთა გრძელ რიგში დავიკავე ადგილი. მორწმუნენი საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან იყვნენ ჩამოსულნი, მათ შორის საინგილოდან. როდესაც მორჩილმა ხვიჩამ მიგვიწვია მამა გიორგის სენაკში, ალბათ ორმოცდაათი ადამიანი მაინც ვიქებოდით. მამაომ ჩვეული იუმორით დაიწყო ჩვენთან საუბარი და თითოეულის სახელები და მისვლის მიზეზი გამოგვკითხა. საუბარი პირად გაჭირვებას, აგრეთვე ქვეყნის სასულიერო და საერო ცხოვრებას შეეხებოდა.

— ერთ წელიწადში უნდა გაბწყინდეს საქართველო, — განგვიცხადა მამა გიორგიმ, — თუ არადა მეორედ მოსვლა დაიწყება.

— ამ პასუხსაგები მისიის შესასრულებლად ვინ იქნება ჩვენი სულიერი წინამდღვარი? — იკითხა ერთ-ერთმა მომლოცველმა.

— სულიერი წინამდღვარი მე ვიქნები. — უპასუხა მამა გიორგიმ.

— საერო ხელისუფალი, მამაო? — იკითხა მეორემ.

მამა გიორგიმ ამ კითხვას კითხვითვე უპასუხა:

— რომელიმე თქვენგანმა თუ იცის ვინ იყო სტალინი?

ხუთოსანი მოსწავლესავით წინ გამოვედი და ვუპასუხე:

— სტალინი წმიდანი იყო, მამაო, რომელიც ამ ქვეყნად უფლისგან იყო მოვლენილი, რათა შეეჩერებინა მასონური მოძრაობის შემოქრა საბჭოთა კავშირის სივრცეში და გადაერჩინა მრავალეროვანი ქვეყანა, ხოლო რუსეთი სახელმწიფოდ ექცია და რუსი ხალხი — ერად.

ჩემმა სიტყვებმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში. თუმცა, მამა გიორგის ლვთიურმა

მდუმარებამ და გამოხედვამ, რომელიც თანხმობის უტყუარი ნიშანი იყო, ვნებათალელვა ჩააცხრო.

მამაომ ბევრი რამ მოგვითხრო სტალინის სულიერ მისიაზე.

ჩემს გონებაში მრავალმა აზრმა გაიქროლა. ყველა მათ-განს კი ერთ დასკვნამდე მივყავდი: უფლისგან მამა გიორგის დაეკისრა საქართველოს სულიერი გაერთიანების მისია, ამიტომაც ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხის წარმომადგენელი მასთან ვიყრით თავს. დაჩეხილი საქართველოს გამთლიანების დრო დადგა. გიორგი ბრწყინვალეს სული ზეციდან დაგვყურებს.

რაც შეეხება საერო წინამძღოლს — აქ სხვა სიტუაციასთან გვაქვს საემე. როგორც ალვინიშნეთ, რუსეთი სტალინმა იხსნა მასონების ბატონობისაგან, რის გამოც ეს უკანასკნელი ვალშია ჩვენთან. უდიდესი რუსი წმიდანი სერაფიმე საროველი აფრთხილებდა თავის ერს: „რუსეთის გადარჩენის გასაღები ივერიაში დევსო“, ამიტომ საქართველოს გადასარჩენად რუსეთმა თავის წიაღში უნდა გამოარჩიოს სტალინისნაირი კაცი, რომელიც არა მარტო საქართველოს, არამედ თვით რუსეთსაც გამოიხსნის ანტიქრისტეს კლანჭებისაგან.

მაპატიოს უფალმა და მკითხველმა ასეთი განცხადებისათვის. ეს ჩემი, ერთ-ერთი რიგითი ცოდვილის აზრია, რომელსაც, როგორც ყოველივე თქვენგანს, ანუხებს ჩვენი სამშობლოს ბედი. წმიდანებმა კი ჩვენზე კარგად იციან, რაც მოხდება ხვალ. ეს მამა გიორგიმ შესანიშნავად იცის, მაგრამ ამის ხმამაღლა გამოცხადება არ შეიძლება, რადგან ჩვენ ამისთვის მზად არ ვართ, რაც ზევით, ხალხში გამოწვეული რეაქციითაც დადასტურდა. თითქოს ჩემი აზრების და ფიქრების გაგრძელება იყოო, ხანმოკლე დუმილის შემდეგ მამაომ განაგრძო:

— ადამიანმა პირველად რომ შესცოდა, ღმერთმა სასჯელად, ყოველ ჩვენთაგანს თითო ეშმაკი მიუჩინა, რათა გაერჩია ერთმანეთისგან კეთილი და ბოროტი. ზოგი

მკვლელობისკენ არის მიდრეკილი, ზოგი მრუშობისკენ, ზოგი ქურდობისკენ და ასე შემდეგ. ეშმაკის გასადევნად კი საჭიროა ლოცვა და მარხვა.

ასეა, ჩემო კეთილო ადამიანებო „...ესე ნათესავი ვერ შეს-აძლებელ არს განსვლად, გარნა ლოცვითა და მარხვითა“. (მარკოზი 9.29).

უფალმა ისრაელი ეგვიპტიდან გამოხსნის შემდეგ ორმოცი წელიწადი ატარა უდაბნოში და მხოლოდ ცოდვებისგან გან-ნმენდილი შეიყვანა აღთქმულ ქვეყანაში. ჩვენ, როგორც მე-ორე ისრაელს, ასევე ორმოცი წელიწადია უფალი გვატარებს მოჯადოებულ წრეზე. (შევარდნაძე 1972 წლის 29 სექტემ-ბერს ქვეყნის პირველი პირი გახდა. 1980-იან წლებში ჩვენს გადასარჩენად უფალმა მოწყალება გაიღო და გამოგვიგზავ-ნა ეროვნული ხელისუფალი, რომელიც ურვყავით 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების დროს). საქართველო ამ სასჯელს უკვე ვეღარ უძლებს. ასეთ მარწუხებში შინაურ და გარეშე მტრების ხელში ის დაიქცევა. ამოსავალი ერთადერთია — ყველანი უნდა შევევედროთ უფალს, რათა მოგვიტევოს ცოდვები და კვლავ აღადგინოს ლაზარე, რაც საწინდარი იქნება საქართველოს გაბრწყინებისა. 2012 წლის პირველმა ოქტომბერმა ხალხს იმედის ნაპერწყალი გაუჩინა.

უფალო, შეგვიწყალენ!

„ჭეშმარიტება სამ ეტაპს გადის:
დაცინვას, გათელვას და აღიარებას“
არტურ შოპენჰაუერი

ლირსი მამა მაკარი მეგვიპტელი ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში გვაფრთხილებდა: „ბოლო უამის მამების უმრავლესობა უფრო მამინაცვლები იქნებიან, ვიდრე მამები, ამიტომ მორწმუნებმა უნდა ისარგებლონ ძველ მამათა ნაწერებით და მათი ამბებით“. ჩვენი დროის ასეთი მანათობელი ვარსკვლავი ბერი გაბრიელი (ურგებაძე) გახლდათ, რომელმაც თავისი მოღვაწეობის არც თუ მცირე პერიოდში ვერ დაარწმუნა სასულიერო პირთა უმრავლესობა, რომ „ჭეშმარიტება სულის უკვდავებაშია“. ბევრი სასულიერო პირი მას ხან გიჟს, ხოლო უკეთეს შემთხვევაში ლოთს ეძახდა. თუმცა ვისი სახელი აქვს ხალხს გულში ჩასუტებული — ნათლად ჩანს. გაბრიელ ბერის გზას გულით და არა მარტო ბაგეთა რხევით სულ რამდენიმე ღირსი მამა მისდევს, რომელნიც უნდა გახდნენ შემოქმედნი, ღვთის შეწევნით, საქართველოს გაბრძყინებისა. მათი სიმცირის გამო, წმიდა ნინოს გამოცხადებითა და შთაგონებით, პეტერბურგიდან ჩამობრძანდა დეკანოზი ოანე (ოლარი), რომელმაც დაინყო მოღვაწეობა ბერი გაბრიელის მიმდევრებთან ერთად საქართველოს გაძლიერებისა და გაბრძყინებისათვის. მსახურების დასაწყებად პატრიარქისაგან განწესებასაც ელოდებოდა, მაგრამ ამუშავდა მწვალებლების, „ცხვრის ქურქში“ გახვეული „მგლების“ არმია — „რატომ კარგი აგიგიაო“ — შერისხეს მამა ოანე და აიძულეს იგი წასულიყო ქვეყნიდან. მან ჩამოსვლის დღიდან სულ რამდენიმე თვეში თავისი სასწაულმოქმედი ლოცვით განკურნა უამრავი ადამიანი, ჭეშმარიტებისაკენ გზა გაუხსნა ცოდვილთ, შეკრიბა სჯულის კანონს დაქვემდებარებული მრევლი

და იოანე ღვთისმეტყველივით ხშირად იმეორებდა სიტყვებს:
„იესომ თქვა: გიყვარდეთ ერთმანეთი“.

დეკანოზი იოანე (ოლარი) ერთ წვიმიან საღამოს მესტუმრა ჩემს ოჯახში, სოფელ სართიჭალაში. მას თან ახლდნენ ჩემი სულიერი საძმოს წარმომადგენლები: იაკობ ვეკუა, პაატა საჯაია და თენგო ყალიჩავა. მათი მობრძანება ყველას გაგვიხარდა. თან ნაირ-ნაირი სასმელ-საჭმელი მოიტანეს. უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. მამა იოანეს როგორც სჩვევია, უსიტყვოდ მიხვდა ყოველივეს, მხარზე ხელი მომხვია და რუსულად მითხრა:

— ასეა საჭირო. სამაგიეროდ ღვინო შენზე იყოს. ვიცი,
საუკეთესო წითელი ღვინო გაქვა.

სასიამოვნო და კეთილგონიერი სტუმრების ვიზიტი არას-დროს გამკვირვებია, მაგრამ გონებაში მაინც მძლია ცნობის-მოყვარეობის ცოდვამ და არ მასვენებდა ფიქრი იმის შესახებ, რომ ეს პატიოსანი ხალხი ამ წვიმასა და თქეშში სასეირნოდ და საქეიფოდ არ იყვნენ ჩამოსულნი. არც რაიმე დღესასწაული იყო, რომ მისი აღნიშვნა განეზრახათ. ჩემი კახელობიდან გამომდინარე ტვინის ჭყლეტას ისევ შეკითხვა ვამჯობინე და ბიჭებს გადავულაპარაკე:

— რამე ხომ არ მოხდა, ძმებო?

— არაფერი. — მიპასუხა იაკობმა, — დაგვირეკა და გვითხრა, იოსებთან წავიდეთო. რომ ვკითხე, რა ხდება, ხომ მშვიდობაა-თქო — მიპასუხა, ასეა საჭიროო. — თან გაეცინა. — ამისას გაიგებ რამეს?

ამ საუბარში ვიყავით გართულნი, როდესაც მამა იოანემ მეორე სართულიდან კიბეზე ჩამომავალი ჩემი რძალი — მარიამი შენიშნა. დაელოდა მას, მოახლოებისთანავე მის წინაშე დაიჩოქა და გულმხურვალე ლოცვა დაიწყო. მარიამი არ მოელოდა მოვლენების ასეთ განვითარებას და თვითონაც გადაწყვიტა მუხლებზე დაშვებულიყო. მამაომ არ დაანება

და მუხლმოდრეკილი თითქმის ნახევარი საათი ლოცულობდა მარიამისთვის. შემდეგ წამოიმართა და უთხრა:

— შენ დაფუხმდიმდები და ორი ბიჭი გეყოლება. ერთ-ერთი მათგანი მე უნდა მოვნათლო.

მარიამი პირველი მშობიარობის შემდეგ ვერ ფეხმძიმდებოდა, არადა ძალიან სურდა შვილების გაჩენა. მამა იოანეს ლოცვის შემდეგ ოცნება აუსრულდა. ცოლ-ქმარმა ყველანაირი გათვლები გააკეთებინეს, როგორც სამედიცინო, ისე არასამედიცინო. ყველამ, ექიმმა თუ არაექიმმა, ერთხმად დაადასტურეს, რომ მარიამს, კიდევ ერთხელ, გოგონა შეეძინებოდა. ერთადერთი მამა იოანე ამბობდა, რომ მას ბიჭი ეყოლებოდა.

რამდენიმე თვის შემდეგ, გეგმიური სამედიცინო შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ მარიამი ბიჭს გააჩენდა. მშობლებმა სახელიც შესაფერისი შეურჩიეს — ლაზარე, რაც ებრაულად ნიშნავს — „ლმერთია შემწე“.

ლაზარე დაიბადა 2012 წელს, იოანობის დღესასწაულზე. ასეთ დიდ ღვთიურ ძალას, რომელიც მამა იოანეს გააჩნია, მხოლოდ მამა გიორგისთან (ბასილაძე), მამა ნიკოლოზთან (მაქარაშვილი) და ჩემს მოძღვართან შეხვედრის დროს ვგრძნობ, რამაც საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ასეთი სასულიერო პირები ძალაში არიან ღმერთით და არა იერარქით. თუმცა ეს უკანასკნელნი (იერარქებზეა საუბარი) ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ წამყვან პოზიციაზე დგანან რწმენის ხარისხის განსაზღვრაში, რაშიც პირადად მე არ დავეთანხმები არავის.

მამა იოანეს ღვთიურ ძალაში კიდევ უფრო დავრნმუნდი ჩემს ოჯახში მისი შემდგომი სტუმრობის დროს. მან პირდაპირ მიმითითა სოფელში არსებული ეშმაკეული ძალებიდან რომელი იყო ჩემი და ჩემი ოჯახის წინააღმდეგ მიმართული. ავი სულების გაძევებისთვის მან ჩემს შვილიშვილს ოლარი გადააფარა და დაიყვირა:

— ბევრი ეშმაკები ახვევია გარშემო და უნდა გავდევნო!

სკეპტიკოსებს რა გამოლევს ამ ქვეყნად. ამ სიტყვების გაგონებაზე იქ მყოფ რამდენიმე ადამიანს ღიმილი მოადგა სახეზე, თუმცა ბავშვის ტირილმა, რომელიც ლოცვასთან ერთად ძლიერდებოდა, ყველა გააოგნა და ზოგმა მამაოს ქმედებაში ეჭვიც შეიტანა. ბოლოს ისევ ბავშვმა მოფინა სინათლე ჩვენს გაოგნებულ აზროვნებას. ნინო რომ დაწყნარდა დედას უთხრა:

— როცა ვტიროდი, ვხედავდი, მამაო როგორ ეჩეუბებოდა ვიღაც კაცებს და თან ჯოხს ურტყამდა.

ღმერთმა ბავშვს, რომლის ასაკიც მაშინ სამ წელიწადსაც არ აღწევდა, თავისი უმანკოებიდან გამომდინარე, უხილავი სამყარო დაანახა და აჩვენა ყოველივე, რაც ხდებოდა ჩემი სახლის ეზოში. ჩვენ კი, სამწუხაროდ, ყოვლის მცოდნებად რომ მოგვაქვს თავი, ჩვენი ცოდვების გამო ბრმანი ვართ და, რა თქმა უნდა, ვერც დავინახავთ ასეთ სასწაულებს. „რადგან ხედვით ხედავენ და ვერ შეიცნობენ, სმენით ისმენენ და ვერ იგებენ, რათა არ მოიქცნენ და არ მიეტევოთ“ (მარკ.4.12).

„ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“.

მამა იოანე მხოლოდ ადამიანებთან არ ახდენდა ასეთ სასწაულებს. იგი საქართველოს უამრავი მტრისგან იცავდა. ჩვენი სასიქადულო მეცნიერი, ბატონი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „სინას მთაზე მოიპოვება ერთი ქართული ლოცვანი, სადაც წერია შემდეგი კვერექსი: „საქართველოს სამეფოს გაძლიერებისათვის, საზღვრების განმტკიცებისათვის, ერისთავთა დაწყნარებისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ“. თქვენ, ეკლესიის მამებად რომ მოგაქვთ თავი, სჯობს ეს კვერექსი იკითხოთ ტაძრებში, ვიდრე იმ სასულიერო პირებს ებრძოლოთ, რომლებსაც ქვეყნის გაძლიერება და ქრისტესმიერი განვითარება სურთ. ნუთუ არ გაგიგონიათ „დუმილით ქრისტე გაიცემისო“. ჩვენში მოღვაწე წმიდა მა-

მის ნათქვამს გავიმეორებ: „საქართველო „გარდერობი“ არ გეგონოთ, სადაც ინახება წმიდა ელია წინასწარმეტყველის ხალენი, უფლისა და ღვთისმშობლის კვართები. ეს ყოველივე თავის პატრონს ელოდება. აქ უნდა მოხდეს უფლის გამოცხადება“. და მაშინ „ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო...“ (მათე 23.14). ერთი კოლხური მითი თქვენზე და თქვენნაირებზე მოგვითხრობს: „პირველად თევზი ხედავს მთვარეს (ქრისტიანობამდე ქართველები მთვარეს სცემდნენ თაყვანს. ი.ს.), რადგან წყალშია, მეორე, ირემი ხედავს მთვარეს — რადგან მთაზეა, ბოლოს ადამიანი ხედავს მთვარეს — რადგან ჭურშია“.

წმიდა მოციქულთა 74-ე კანონი გვამცნობს: „თუ ეპისკოპოსს ბრალი დასდონ ღირსეულმა ადამიანებმა რაიმე საქმის გამო, ის უნდა გამოიძახონ სხვა ეპისკოპოსებმა და თუ მივა და აღიარებს, რაშიც ბრალი ედება, განუსაზღვრონ მას ეპიტიმია. მაგრამ თუ გამოიძახებენ და არ დაემორჩილება, გაუგზავნონ ორი ეპისკოპოსი და ხელახლა დაიბარონ. თუ მაშინაც არ შეისმენს, მესამედ მიავლინონ ორი ეპისკოპოსი და კიდევ მოიხმონ. თუ ამის შემდეგაც ყურს არ ათხოვებს გამოიძახებას და არ მივა, კრებამ თვითონ განსაზღვროს, რაც მიაჩინია საჭიროდ, რათა არავინ იფიქროს, რომ რაიმეს მოიგებს სამართლისგან დამალვით“ (დიდი სჯულის კანონი. გვ. 60-61. თბ. 2009 წ. გამომცემლობა „ნათლისმცემელი“). ეს კანონი მიტროპოლიტებსაც ეხება, ამიტომ უამრავი ადამიანი ველოდებით საპატრიარქოს სამართლიან გადაწყვეტილებას, რათა დეკანოზი იოანე (ოლარი) დაბრუნდეს საქართველოში და აღასრულოს წმიდა ნინოს კურთხევა.

მე კი კვლავ ჩამესმის ჩემი ღირსეული თანამემამულის მიხეილ ქვლივიძის სიტყვები:

„.... თვითმკვლელებაა ჩვენში დიდი საქმის დაწყება, სარკმელს გააღებს ამღვრეული გალაკტიონი და ქვაფენილზე შურდულივით დაენარცხება...“

„მღუდელთა შენთა შეიმოსონ სიმართლე...“
(ფსალ. 131.9)

არქიმანდრიტმა გიორგიმ (ბასილაძე) სასულიერო მოღვაწეობაში დაამკვიდრა სიტყვა-ნამდვილი, რომელიც იმ მღვდლების მისამართით არის ნათქვამი, ვინც სიმართლეს ემსახურება. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული, ნამდვილი მამაო გახლავთ გიორგი (პავლოვი). ნამდვილების სასწაულ-მოქმედების შესახებ ბევრი იწერება და მამა გიორგის აქაც წამყვანი პოზიციები უკავია, რისი მოწმეც ჭეშმარიტებაა და მრევლის უამრავ წევრთა უმრავლესობა. მე მხოლოდ ერთს გავიხსენებდი, თუმცა მოსაგონებელი ძალიან ბევრია. მამა გიორგიმ (პავლოვი) ჩემს სოფელში, თავისი სასწაულმოქმედი ლოცვით სიკვდილი დაამარცხა, უფლისკენ და ამქვეყნიური სიცოცხლისაკენ მოაბრუნა ისეთი ადამიანი, რომელიც წუთისოფელში მოვლინების დღიდან სკეპტიკურად იყო გან-წყობილი მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი.

მამა გიორგის ძირითადი დამსახურება სამშობლოსა და დედაეკლესიის წინაშე მდგომარეობს იმაში, რომ იგი, როგორც ყველა ნამდვილი მღვდელი — ქრისტეს მეომარია. ზედმინევნით გათავისებული აქვს წმინდა ვახტანგ გორგას-ლის მიერ დადგენილი გამარჯვების ფორმულა: „ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილს“. იგი უშიშრად დაუპირისპირდა ქაჯეთის ციხეს, რომლის არსებებიც ცხრა წლის განმავლობაში სექტანტობით, ჰომოსექსუალთა, კოლაბორაციონისტთა გამრავლებით და ათასი სიბინძურით წამლავდნენ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას. გასაკვირი არც იყო, რადგან მათი სახელი — „ნაცი“ — სულხან-საბას ლექსიკონში შესანიშნავად არის ახსნილი. მაშინ, როდესაც მამა გიორგი თავისი ბრწყინვალე ქადაგებებით ღიად უპირისპირდებოდა

ქაჯთა ხელისუფლებას, ბევრი სასულიერო და საერო პირი განიკითხავდა მას და როგორც მხდალ ადამიანებს სჩვევიათ ზურგს უკან, მაშინდელი მმართველი გუნდის საამებლად, ათასნაირ ჭორებს უყრიდა.

წმინდა ვახტანგ გორგასალი როდესაც ერთ-ერთ ბრძოლაში ჩაება, ასეთი სიტყვები წარმოოთქვა: „არა მინდობილ ვარ მე ძალისად ჩემისად და სიმხნისა ჩემისად, არამედ სამებისა ერთარსებისა“. ღმერთს რომ მიენდო, საჭიროა ძალაში იყო ღმერთით და არა იერარქიით. ეს ღირსება მამა გიორგის მომადლებული აქვს ღვთისაგან და ამიტომ არ უჭირს სამშობლოს და ეკლესიის მტრებთან ბრძოლა.

ღმერთმა დალოცოს მამა გიორგი (პავლოვი).

ბოლოს კი გავიხსენებ ჩემი გარდაცვლილი მოძღვრის, მამა შალვას (შუბითიძე) სიტყვებს მისი უკვდავი პოემიდან „დავით ალმაშენებელი“:

„ერთი ღმერთია უკვდავი, ძე მისი ჩვენთვის ტანჯული და სული ღვთისა ძლიერი, მართალი რწმენა და რჯული, ისევე მოვა უფალი, ის შეუმცდარი მსაჯული, სამება ღმერთსა ვაქებდეთ, ვინც არ ვართ გადაქაჯული“.

„რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე...“

იოანე ზოსიმე.

“ჩვენ არ ვაკეთებთ იმას, რაც ღმერთმა დაგვავალა, არ ვასრულებთ საქართველოს სულიერ მისიას, ანუ კაცობრიობის ცოდვათა, ანუ „ყველა ენათა“ მხილებას.

გურამ შარაძე.

ჩემო მკითხველო, ჯერ არ გახლავარ იმ ასაკის, რომ ვთქა: „სიბერემ მომიკაკუნაო“, თუმცა სამოციანელების „არმიას“ ვუახლოვდები და უკვე კარგა ხანია მინდა პასუხი გავცე კითხვას — „რა გვჭირს?“ წმიდა მამათა, კლასიკოსთა სხავლებიდან და დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე მივედი იმ დასკვნამდე, რომ ქართული ჯიშ-ჯილაგი ანუ როგორც თანამედროვე ენაზე იტყვიან — გენი, დიდი ზეწოლის ქვეშ გახლავთ. ეს პროცესი ახლა არ დაწყებულა. იგი საუკუნეების განმავლობაში ხორციელდებოდა ჩვენი მტრების მიერ და გასული საუკუნის ბოლოს მიაღწია თავისი განვითარების მწვერვალს. ქართულ სულზე განხორციელებულმა ვერაგულმა თავდასხმამ გამოიწვია ეროვნული მუხტის საგრძნობი დაქვეითება, რამაც კატასტროფის წინაშე დააყენა ჩვენი სამშობლო. ჩემი აზრით, მიზეზი ერთია — ქართველების უმრავლესობამ, თავისი არსებობის პერიოდში და განსაკუთრებით მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში, ზოგმა ფარულად, ზოგმა ღიად და ზოგმა გაუცნობიერებლად განი-

ცადა ასიმილაცია. დღეს ქართულ გვარ-სახელებით წარმოდგენილ უმრავლესობაში ისე „მუშაობს“ უცხოტომელთა გენი, რომ ზოგიერთი თვითონაც ვერ ხვდება. ხვდება თუ ვერ ხვდება, იცის თუ არ იცის, მის გონიერებს ისადგურებს ნიჰილიზმი და გულგრილი ხდება, როგორც ქართული სულისადმი, ისე ამ სულის მთავარი შემოქმედის — მართლმადიდებლობისადმი. მისთვის ვახტანგ გორგასლის გამარჯვების ფორმულა: „ეძიებდე ქრისტესთვის სიკვდილს“, წარსულის გადმონაშთად რჩება და ასე ფესვებმოწყვეტილი ექვემდებარება კუჭის კანონს. ჯერ კიდევ როდის გვაფრთხილებდა დავით წინასწარმეტყველი: „კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმაჲყო, ჰბაძვიდა იგი პირუტყვთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ“ (ფს.48.12).

ყოველივე ამის შემდეგ ასეთმა ქართველმა ქრისტეში მხოლოდ ერთი ბუნება — ღვთიური დაინახა, რითაც დასცილდა ჭეშმარიტ სარწმუნოებას — მართლმადიდებლობას. მან უარყო ქრისტეს ადამიანური საწყისის არსებობა და უგულებელყო ქრისტიანული სარწმუნოების მთავარი პოსტულატი — იესო ქრისტეს მიერ კაცობრიობის ცოდვების გამოსყიდვა საკუთარი ჯვარცმით. იოანე ღვთისმეტყველი კი გვასწავლის: „ყოველი სული, ვინც აღიარებს ხორციელად მოსულ იესო ქრისტეს, ღვთისგან არს“ (იოანე 4.2.).

როგორც ჩანს, ქართველებად „გამომცხვარი“ ადამიანების უმრავლესობა მაცხოვარში მხოლოდ ღვთიურ ბუნებას ხედავს, არ აღიარებს მის ადამიანურ საწყისს, რითაც სამსახურს უნევს ანტიქრისტეს და სამუდამოდ რჩება წუთისოფლის შვილად.

ვინ არიან ის ხალხები, რომლებმაც ქართველების გადაჯიშება და გათელვა განიზრახეს? და რომელთა ცოდვათა მხილებას, მიუხედავად ღმერთის მიერ დავალებული სულიერი მისისა, ქართველები არ ვახდენთ. ისინი, იშვიათი გამონაკლისისა, ჩვენი ძმები არასდროს ყოფილან.

ირონი. ისინი თავისად თვლიან კავკასიონიდან ბორჯომის ხეობამდე და შემდეგ მტკვრის მარცხენა სანაპიროს გაყოლებაზე ვიდრე მცხეთამდე შიდა ქართლის მთელ ტერიტორიას. სვეტიცხოველსა („ოსეტიცხოველი“ — მათი შექმნილი ტოპონიმია. ი.ს.) და ჯვრის („ძუარი“) მონასტერსაც კი ისაკუთრებენ.

სულხან-საბა ორბელიანი „ლექსიკონი ქართულით“ გვამცნობს: „ირონი ეშმაკთა ბუნებისა მქონებელნი არიან, არა სრულიად მსგავნი მათნი, არამედ უდარესნი ქაჯნი... ქაჯი-მაცდურს, რასმე იტყვიან საეშმაკოთა, ვითარცა მინოათა: ჭიმკა, ალი, კორვიანტი, მიონა, ჰერის-მცველი... ჰერის მცველი — ესენი არიან ეშმაკნი. ოდეს გარდმოითხინეს, უბოროტესნი ჯოჯოხეთად შთაცვიეს და უდარესნი ჰერთა შინადაშთნეს, რომელი მუნცა იტანჯებიან. მათგან არს საოცრებათა ჩვენება და ფეთება, სახლთა და ცხენთა დაუფლება, ქვათა სროლა, ღამე კაცთა მრავალსახე ჩვენება, ნაკლების ჭურის ავსება და ეგევითარნი, რომელსა მსოფლიონი ქაჯად და ჭიმკად სახელ-სდებენ, მოჰმადიან ჰური, ფერად და ყილმანად იტყვიან და ანგელოზად ესვენ“.

ალანებ-ირონები, ქართულ წყაროებში ოსები, ოვსები — სარმატული წარმოშობის ხალხია (სარმატები — საერთო სახელი ირანულენოვანი ტომებისა), რომლებიც ძვ.წ. III და ახ.წ. IV საუკუნეებში განსახლებულნი იყვნენ მდინარეებს დუნაისა და ტობოლს შორის მდებარე სტეპებში. ახლა კი შინაური და გარე მტრების დახმარებით შიდა ქართლს ეპატრონებიან.

ჰურიანი. ერთი ნაწილი ამ მოდგმისა ქართველებთან ოცდაექვსი საუკუნეა რაც მეგობრობენ. მათ მრავალი სიკეთე აქვთ გაკეთებული ჩვენი ერისათვის. მათ ჩამოაბრძანეს ქართლში წმიდა ელიას ხალენი და უფლის კვართი. ამასთან, ყოველთვის ინახავდნენ თავის ეროვნულობას და ჯიშ-ჯილაგს. მაგრამ საქართველოში ცხოვრობენ ისეთი ჰური-

ანიც, რომლებიც ამოფარებულნი არიან ქართულ მოდგმასა და გვარებს. ესენი თალმუდისტი ებრაელები „ბრძანდებიან“, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ებრძვიან ქართველებს. ამჟამად კი მასონთა საერთაშორისო ორგანიზაციების ძირითად დასაყრდენს წარმოადგენენ. ეს იმ ებრაელთა მოდგმაა, რომელთა წიაღში წარმოიშვა ბარაბა და რომელნიც სხვა ხალხებს ადამიანის მსგავს პირუტყვებად (გრიები) მიიჩნევენ.

მათ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ ებრაელთა მამამთავარმა აბრაჰამმა მელქისედეკ მღვდელს თავისი ალაფიდან მეათედი მიართვა. ვინ იყო მელქისედეკ მღვდელი? ბიბლიაში აღნერილი ამ ამბიდან აშკარად ჩანს, რომ მელქისედეკი აბრაჰამზე მაღლა იდგა, რადგან ამ უკანასკნელმა მას შესანირავი მიართვა. მეორე — გავიმეორებ მისი უწმიდესობის, სრულიად საქართველოს პატრიარქის ილია მეორის სიტყვებს: „ქართული ანბანის წარმოშობა ისეთივე საიდუმლოებებით არის მოცული, როგორც მელქისედეკ მღვდლისა“. და მესამე — არაბები ქართველებს დღესაც მელქისეტებად მოგვიხსენიებენ.

აგარიანი. პავლე მოციქული ამბობს: „ვინაიდან დაწერილია, რომ ორი ძე ჰყავდა აბრაამს, ერთი მხევლისაგან და მეორე თავისუფალისგან. მაგრამ რომელიც მხევლისაგან იყო, ის ხორციელად შობილი იყო, ხოლო რომელიც თავისუფალისაგან — აღთქმის მიხედვით. ამაში არის ქარაგმა. ეს არის ორი აღთქმა: ერთი სინაის მთიდან, მონბობისათვის შობილი, რომელიც არის აგარი. ვინაიდან აგარი არის სინაის მთა არაბეთში და ამჟამინდელ იერუსალიმს შეესაბამება, ვინაიდან ის მონბობაშია თავის შვილებთან ერთად. ხოლო ზენა იერუსალიმი თავისუფალია: ის ყველა ჩვენგანის დედაა. რადგან დაწერილია: „იხარებდე, ბერნო, უშობელო! სიხარულით აყიშინდი, სალმობის განუცდელო! რადგან მიტოვებულს მეტი შვილები ეყოლება ვიდრე გათხოვილს“... და როგორც მაშინ ხორციელად შობილი სდევნიდა სულით შობილს, ასევეა ახლაც“ (გალატელთა 5.22-29). (ხაზგასმა ჩემია ი.ს.)

გასულ საუკუნეებში რიცხობრივად უმეტესი აგარიანი თუ ხმლით დევნიდა ქართველს თავისი მიწა-წყლიდან, ახლა ჯადოქრობით, ფულით და შობადობით აკეთებს ამას. ჩვენი წინაპარი ხმალდახმალ ტოლს არ უდებდა მომხდურს, არ ეპულიდა და ღვთის შეწევნით ხშირად ამარცხებდა კიდეც. 1903 წელს ილია ამბობდა: „აქამდე ჩვენს მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და ასე თუ ისე, შევინახეთ კიდეც. დღეს ხმალი ქარქაშში ჩაეგო, დღეს სხვა მტერი მოდის, ჩუმად, ქურდულად, როგორც მაცდური და მპარავი. იგი მტერი ფულია, გაიძევერა და მზარავი. იგი ღიმილით და ალერსით მოგექცევათ და ისე გამოგაცლით ხელიდან ამ ლამაზს, მდიდარს ქვეყანას, რომ პირველ ხანში იქნებ მადლობა გადაუხადოთ“.

სამწუხაროდ, საქართველოს სულიერი მამის შეგონებანი ფეხქვეშ გავთელეთ და 1907-ში ვერაგულად მოვკალით იგი. თუმცა ჩვენი თავადები მის მოკვლას, როგორც ზევით აღვნიშნეთ, 1864 წელს აპირებდნენ იმ მიწების გამო, რომელიც შემდეგ სომხებს, აგარიანებს და ირონებს მიყიდეს. საკუთარი კუჭი რომ ამოევსოთ, ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე (განსაკუთრებით, ქართლსა და კახეთში), სხვა ქვეყნებიდან გამოძევებული ათასი სჯულის მაწანწალა დაასახლეს. მეოცე საუკუნეში, გასაყიდი რომ არაფერი დარჩათ, საკუთარი გვარებით დაინყეს სპეკულაცია და დღეს ქართული თავადური და არა მარტო თავადური გვარის მატარებელი უცხოტომელი ანგრევს და რყვნის ივერთ ქვეყანას. ხოლო ღვთისმშობლის წილხვედრი მიწის და ქართული გვარის გამყიდველები დღეს ქართულ ჩოხებში გამოწყობილები გვეკელუცებიან სხვადასხვა დღესასწაულებზე.

„ეპავაიმე დღისა მისთვის რომელი მოიწია ჩვენდა“. (ბოლნისის სიონის ტაძრის ლოდზე ამოკვეთილი სიტყვები).

არმენები. „ბინას იკეთებენ იქ, საცა არა ჰქონიათ“ — ამბობდა ილია. სახელმწიფოდაკარგული, განადგურებული არმენები ქართველებმა შეიფარეს და დაიცვეს. მათ კი სა-

მაგიერო იმით გადაუხადეს, რომ მრავალგზის ღალატით ჩვენი სამშობლოს მიტაცება განიზრახეს. აფხაზეთს დაარქვეს „ზემო სომხეთი“. აჭარას, კერძოდ ბათუმს, შავი ზღვის პირა პორტად მოიხსენიებენ. ხოლო ჯავახეთზე და თბილისზე საუბარი აღარ აქვთ, რადგან მათ დიდი ხანია თავისად თვლიან. სომხური ეკლესის მიერ წმიდანად აღიარებულმა კათალიკოსმა ოვანეს მეოთხემ განაცხადა: „ანათემა მას, ვინც იტყვის, რომ ქრისტე ადამიანი იყო თავისი ბუნებით, რომ იგი ხორცშესხმული იყო და გადაიტანა ხორციელი წამება, ეზიარა სიკვდილს ადამიანის მსგავსად, ანათემა მას! ვინც არ აღიარებს ქრისტეს ერთსახოვან უკვდავ ბუნებრიობას, ანათემა მას!“ ეს, პირველ რიგში, ჩვენი — ქართველების დაწყევლა იყო. ეს წყევლა საფუძვლიანად აგვისრულდა გასული საუკუნის 90-იან წლებში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ უფალი ამა თუ იმ ერს ისეთ ხელისუფლებას აძლევს, როგორსაც იმსახურებს, როგორი ხელისუფლების ღირსიცაა იგი. როდესაც ებრაელებმა თავისი ნებით (მაკაბელთა დროს) რომის იმპერიას მისცეს საბატონოდ თავისი ქვეყანა, ღმერთმა მათ მმართველად მოუვლინა უცხოტომელი იდუმიელი არაბი — ანტიპატრე, რომელსაც ებრაელი ცოლისაგან შეეძინა ჰეროდე. ეს უკანასკნელი მეფობდა მაცხოვრის წუთისოფელში მოვლინების დროს. უფალს წინასწარმეტყველთა პირით ჰქონდა ნაუწყები ისრაელის ერისათვის, რომ მესია მოვიდოდა იმ დროს, როდესაც ისრაელს აღარ ეყოლებოდა წინამძღოლი თავისი ტომიდან. ეს ასეც მოხდა...“

...ვინაიდან ისრაელის ერმა, როგორც ღმერთის რჩეულმა, თავისი ფუნქცია მაცხოვრის წამების შემდეგ დაკარგა და დაწყევლილ იქნა, მეორე ისრაელად გამოცხადდა საქართველო, სადაც დაბრძანებულია ქრისტეს და ღვთისმშობლის კვართები. სწორეს აქ უნდა მოხდეს უფლის მეორედ მოსვლა. ჩვენი ცოდვების გამო ღმერთმა სასჯელი ჩვენც დაგვადო და სახელმწიფოს მეთაურად უცხოტომელი შევარდნაძე მოგვივ-

ლინა. დაიწყო ეროვნული სულის მატარებელი ადამიანების დევნა, ლიკვიდაცია და ახალგაზრდების გარყვნა. სიცრუე აღიარებულ იქნა ღმერთად. დავით წინასწარმეტყველი გვას-ნავლის: „...ხოლო ვის უყუარს სიცრუვე, მას სძულს სული თვისი“ (ფს. 10.5.) თუ ადამიანს სძულს სული თვისი, ის უფ-ლის ძირითად მცნებას: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“, რა თქმა უნდა, ვერ შეასრულებს და შესაბამისად ქვეყანასაც უფსკრულში გადაჩეხს. ამიტომ ყბადალე-ბულ ნიჭილიზმს, რომლითაც დავიწყეთ თხრობა, ჩვენებური თარგმანი მოვუძებნოთ: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“. ეს ეხება, როგორც საერო, ისე სასულიერო მოლ-ვანეებს, რომელთა უმრავლესობაც ერთობლივად ხრნის ქვეყნის მომავალს. „მაგრამ წერილი რას ამბობს?“ — გვმოძ-ლვრავს პავლე მოციქული — „განდევნე მხევალი და მისი ძე, ვინაიდან მხევლის ძე ვერ გახდება მემკვიდრე თავისუფალის ძესთან ერთად“. ამრიგად, ძმებო, ჩვენ მხევლის შვილები კი არ ვართ, არამედ თავისუფლისა“ (გალატ. 5. 30-31.).

ხშირად ისმის კითხვა: ეკლესიებში გაიზარდა მორწმუნება რიცხვი, ჩვენ კი უკეთესის მაგივრად უარესისკენ მივდივართ. სიყვარულის მაგიერ იზრდება სიძულვილი. რატომ? რწმენა ეკლესიაში მოსიარულეთა რიცხვით არ განისაზღვრება. თუ მართლმადიდებლური საქმე არ აკეთე, ერთ ადგილზე მოგვიწევს გაჩერება და წინ ვერასდროს წავალთ. საქართველოში ასეთ მორწმუნეთა რიცხვი დიდია. ეს ადამიანების ის „კატეგორიაა, რომელთაც შებრუნებით ესმით სახარებისეული სიბრძნე: „...შაბათი ადამიანისთვის არის შექმნილი და არა ადამიანი შაბათისთვის“ (მარკ. 2.27.). ის ადამიანი, რომელიც ეკლესიაში და უფალში მხოლოდ „კოკა-კოლას“ მიერ შექმნილ სანტა-კლაუსს ხედავს, რაც ოცნებისა და ნატვრის ასრულებას გულისხმობს, ვერ იქნება ქვეყნის და მით უმეტეს სარწმუნოების განმამტკიცებელი. ის ადამიანი, რომელიც ცხოვრობს პრინციპით „ვიცის დედა ტიროდა, ხოლო არ ვიცის დედა იცინოდაო“, ემსახურება ეშმაკს და წუთისოფლის მონაა. ის ადამიანი, რომელიც კითხულობს მოციქულთა საქმეებს, მათი და სხვა წმიდათა ცხოვრებას, ხედავს, რომ თითქმის ყველა მათგანმა ქრისტესთვის სიცოცხლე მოწამეობრივად დაასრულა და მაინც საკუთარი ცოდვების მონაა, ის ქრისტეს მებრძოლი ეკლესიის წევრი ვერასდროს გახდება.

რწმენა მხოლოდ საქმით განისაზღვრება.

„ბრმა წინამძღოლებო, კოლოს მწურავებო და აქლემების მშთანთქავებო!“ (მათე 23.24) გვეუბნება უფალი მათეს სახარებაში. ეს ნიშნავს, რომ მცნებათაგან რაც მნიშვნელოვანია, იმას არაფრად აგდებენ, ხოლო უმნიშვნელოთა დაცვას კი ზუსტად ცდილობენ. არ გამოეპარებათ თუ ვინმემ ეკლესიაში არასწორად გადადგა ნაბიჯი, არასწორად შეასრულა მეტანია და სხვა. ხოლო სამშობლოს და სარწმუ-

ნოებას თვალწინ რომ უთელავენ და უგინებენ, ვერ კი არა, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა — არ ხედავენ და არც აინტერესებთ, რადგან უმრავლესობა მოძღვრებისა და მათი მრევლისა მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის ლოცულობს, რასაც უფლისგან წყალობა არასდროს მოსდევს. ნეტარი თეოფილაქტე გვასწავლის: „ვინც ყოველივეს სამართლიანად აკეთებს, მან ისიც იცის, ვინ უნდა შეიწყალოს, მოწყალებას კი რწმენა მოჰყვება... ვართ რა მოწყალენი, ჭეშმარიტი ღმერთის რწმენა უნდა გვქონდეს, რადგან მოწყალენი წარმართთა შორისაც მრავლად იყვნენ, მაგრამ არ ჰქონდათ რწმენა, რომელიც წყალობას მოსდევს“.

ღირსი მამა მაკარი ეგვიპტელი გვაფრთხილებს, რომ ბოლო უამის მამების უმრავლესობა უფრო მამინაცვლები იქნებიან, ვიდრე მამები, ამიტომ მორწმუნებმა უნდა ისარგებლონ ძველ მამათა ნაწერებითა და მათი ამბებითო. ჩვენ ამიტომ გავყევით ბერი გაბრიელის (ურგებაძე) გზას, რადგან ის ძველ მამათა სწავლებას ქადაგებდა. მამა გაბრიელთან ერთად დღეს ამ გზის მანათობელნი არიან მამა გიორგი (ბასილაძე), ბერი ნიკოლოზი (მაქარაშვილი), მამა იოანე (ოლარი), მამა გიორგი (პავლოვი) და სხვანი, რომელიც სიმართლეს ღალადებენ და „ჯიპებზე“ და ჩინ-მედლებზე არ ცვლიან ღირსებას. არასწორი ქრისტიანული გზით სიარულმა ჯერ კიდევ მსოფლიო მოძღვარს წმიდა იოანე ოქროპირს ათქმევინა, რომ „მღვდლების ნახევარზე მეტი ჯოჯოხეთში მიდის. შესაბამისად, უფრო მეტი მიდის მღვდლმთავრებიდანო“.

ჩვენი უბედურება კიდევ ის არის, რომ სასულიერო პირებთან ერთად ცოდვის მორევში, თავიანთი მცირედ მორწმუნეობის გამო, საერო ხელისუფალნიც იყვნენ ჩათრეული. 1744 წელს სჯულის კანონის დარღვევით, საქართველოს კათალიკოსად აკურთხეს ერეკლე მეორის ბიძაშვილი, 24 წლის თეიმურაზ ბაგრატიონი, შემდგომში ანტონ პირველად წოდებული, რომელსაც დიაკვნად ხელ-

დასხმის ასაკიც კი არ ჰქონდა შესრულებული (კართაგენის კრების მე-16 და კონსტანტინეპოლის მე-6 კრების მე-14 კანონები). ევროპული ორიენტაციის გამო, მან ვერ გაუძლო ცდუნებას და ჩავარდა კათოლიკურ მწვალებლობაში. 1755 წელს მცხეთაში ჩატარებულ ქართლ-კახეთის საგანგებო საეკლესიო კრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ თეიმურაზ და ერეკლე მეფეები, ანტონს კათოლიკობის მიღება შესწავლის და მწვალებლობის გამო განკვეთეს ეკლესიიდან. იქვე განაჩინეს — ვინც მას დააბრუნებდა, რა მიზეზითაც უნდა მომხდარიყო ეს, მასზე და მთელ ერზე მოწეულიყო შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების წყევლა და ღვთის რისხვა. ანტონი რუსეთში წავიდა. 1763 წელს ერეკლე მეორემ ის უკან დააბრუნა, ხოლო საეკლესიო კრებამ მეფის ბიძაშვილი კვლავ აირჩია საქართველოს კათალიკოსად.

ამის შემდეგ ჩვენი სამშობლო ვერ გათავისუფლდა წყევლისაგან. დავკარგეთ, როგორც სახელმწიფო დამოუკიდებლობა, ასევე ავტოკეფალია.

სანამ ჩვენი ერი ეგუება სულით დაცემის და დაღმავლობის პროცესს (ეს კი უკვე ექვსი საუკუნეა გრძელდება, გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ), სასჯელი ღვთისგან უფრო და უფრო დამძიმდა, ხოლო, როდესაც გამოფხიზლდება და აღმავლობას დაიწყებს, სასჯელი გაუქმდება და საქართველო ძველ დიდებას დაიბრუნებს.

მაშ, ყველამ გავითავისოთ იოანე ღვთისმეტყველის სიტყვები: „და სცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქვენ“ (იოანე 8.32.).




სოფ. სართიჭალა. მდ. ივრის მარჯვენა სანაპირო.
ნმ. ნიკოლოზ საკვირველმოქმედის სახელობის ეკლესია



სოფ. ხაშმი. მდ. ივრის მარცხენა სანაპირო.
ნმ. ნიკოლოზ საკვირველმოქმედის სახელობის ეკლედსია.




ԲԹ. արքումանդրութիւն գածրուցու, աղմսարեծելու դա սալուսո.




მამა გაბრიელი (ურგებაძე) და მისი სულიერი შვილი
ნიკოლოზი (მაქარაშვილი)



მამა ნიკოლოზი (მაქარაშვილი)



მამა გიორგი (ბასილიძე), მამა იოანე (ოლარი),
მამა გიორგი (პავლოვი).



მამა გიორგი (ბასილაძე)



მამა ორანე (ოლარი)



მამა გიორგი (პავლოვი)



სოფ. გიორგი წმინდა. მამა გიორგი
(პავლოვი, დავით გიორგობიანი, მალხაზ კინორია და
იოსებ სიბოშვილი).



მამა ორანე (ოლარი)



საქართველოში მცხოვრებ ადამიანთა უმრავლესობას ქრისტიანობა მხოლოდ წინაპერებისგან გადმოცემულ ტრადიციას მიაწინა და მისი არსებ გაცნობიერება ხშირ შემთხვევაში არ აიტენისებს. შევნებული მართლმადიდებლური განათლების მატარებელი ძალას ცოტანი არიან, რომელთაც თავისი სიძირის გამო უჭირთ ეშმაკის მიერ დაგენერი მახევბში გავლა. ამიტომაც ჩვენ, ქართველებს, იშვიათი ვამოწვევისის გარდა, უამრავი ცოდვების გამო არ ძალვების მართალი გზით ხარისული ხდები ცრუ წუთისოფელში მა, რომლის მთავრის სატანაა, სისართლის თქმა ძნელია, მაგრამ დავთური განრიგიანი ვამომძინარე აუცილებელი. ამიტომაც ამბობს მამა გორგა (ბახილაძე): „ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი“. თუ კვინდა ვამარჯვება მოვაძიროთ ძნელ ძალუბზე, უნდა გავითავისოთ წმიდა წერილის ხიტევები: „ნე მისერეკები მარჯველ, ნეცა მარცხელ, არამედ გზასა სამუშაოსა ვაღიავოთ“ (2 ს. 5.29.).

ISBN 978-9941-0-6519-4



9 789941 065194 >